ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №253

26 თებერვალი 2015 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის „მერების შეთანხმების შესაძლებლობების გაძლიერების მოდელი უკრაინასა და საქართველოსათვის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე–16 მუხლის მე–4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის „მერების შეთანხმების შესაძლებლობების გაძლიერების მოდელი უკრაინასა და საქართველოსათვის“ პროგრამა თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება ძალაში შედის გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტანქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

<u>მერების შეთანხმების შესაძლებლობების განვითარების მოდელი</u>
<u>უკრაინასა და საქართველოსათვის</u>

პ რ ო გ რ ა მ ა

მუხლი 1. პროგრამის მიზნები

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და ასოციაცია „უკრაინის ენერგო ეფექტური ქალაქებს“ შორის 2011 წლის 02 მაისს გაფორმებული მერების შეთანხმების ფარგლებში 2020 წლისათვის რუსთავის ტერიტორიაზე CO_2 ემისიის შემცირება, რითაც დაიზოგება შენობიდან სითბოს გადინება და ამავე დროს შემცირდება ელ. ენერგიის მოხმარება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

პროექტის მიზნიდან გამომდინარე პროგრამის ამოცანაა:

1. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისთვის ენერგო დღეები ჩატარება

2. 2015 წლისათვის საბიუჯეტო ბალანსზე მყოფი შენობის შერჩევა, რომელსაც ჩაუტარდება რეაბილიტაცია ენერგოეფექტურობის კუთხით, რაც იქნება საპილოტე პროექტი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015 წლის მარტი – 2015 წლის ივნისი.

მუხლი 4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ბიუჯეტში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა წარმოადგენს 20%–ს.

ექვივალენტი ლარებში, რომელიც ასახულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თვითმმართველობის 20%–იან თანამონაწილეობაში.

2015 წელი

შემოსულობები	**თანხა** (ევრო)
ადგილობრივი ბიუჯეტი	**103.76**
დონორი ორგანიზაცია	**25,602.56**
სულ	**25,706.32**

ხარჯები	ადგილობრივი ბიუჯეტი	დონორი ორგანიზაცია	სულ
შრომის ანაზღაურება შტატგარეშე მოსამსახურეზე (პროექტის კოორდინატორი)		**1,328.30**	**1,328.30**
საზღვარგარეთ მივლინება	**103.76**	**921.78**	**1,025.56**
ენერგო დღეების განსახორციელებელი ხარჯი:		**1,000.00**	**1,000.00**
მაისურის შემენა, დაბეჭდვა		500.00	500.00
ლოგოიანი ჭიქების შემენა		400.00	400.00
ლოგოიანი კალმების დამზადება–შემენა		100.00	100.00
საპილოტე პროექტის განხორციელება		**22,352.48**	**22,352.48**
სულ:	**103.76**	**25,602.56**	**25,706.32**

შენიშვნა: პროგრამა წარმოდგენილია ევროებში და ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი კურსის ექვივალენტით ლარებში.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური.

პროგრამის შემდგენი სამსახურის ხელმძღვანელი

ლაშა ლობჯანიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა
და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი